



გაგონდის 1918 წლის 25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

შაბათი-კვირა, 5 იანვარი. 2019 წ. №2-3 (8668-8669) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 60 თათრი

## ღმერთო, გააკლიერე და გააბთლიანე საქართველო!



### დიდი, ნათელი ცხოვრება

წლის 9 ნოემბერს დადგინდა პატრიარქის მოსაყდრედ.

1977 წლის 23 დეკემბერს არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად; ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, საღვთისმეტყველო კრებულები, ბროშურები, წიგნები, ჟურნალები, სამი სახის კალენდარი; დაარსდა გაზეთები; 1988 წელს ილია II-ის თაოსნობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოიტანეს თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია; საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები: ბათუმში, ახალციხესა და ქუთაისში სასულიერო სემინარიები.


1960 წელს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა

და საპროტესტო მოვლენები. 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინამდებარე ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო სამხედრო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რის შედეგადაც 21 ადამიანი დაიღუპა. მომიტინგეებთან მივიდა და მათ სიტყვით მიმართა ილია II-მ. 9 აპრილს ილია II-მ სიონის საპატრიარქო ტაძარში დაღუპულთა მოსახსენებელი პირველი პანაშვიდი გადაიხადა და მათ სამშობლოს თავისუფლებისათვის მსხვერპლად შეწირულები უწოდა.

კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობის 39 წლის მანძილზე საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი 15-დან 47-მდე გაიზარდა, სასულიერო პირთა რიცხვი – 2000-მდე, გაძლიერდა სამონასტრო ცხოვრება, მოხდა ახალი წმინდანების კანონიზირება.

ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თბილისში აშენდა წმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი.

1978-1983 წლებში კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი. იგი დაჯილდოებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საქართველოს, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის და თითქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი.



დისერტაცია თემაზე: „ათონის ივერიის მონასტრის ისტორია“. 1978-1983 წლებში იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი, ხოლო 1997 წლიდან არის გაეროსთან არსებული ინფორმაციის საერთაშორისო აკადემიის წამყვანი წევრი და კრეტის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრი. არის ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების საპატიო და აშშ-ის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა ტიხონის საღვთისმეტყველო სემინარიის ღვთისმეტყველების დოქტორი. მონაწილეობდა მშვიდობის დაცვის რამდენიმე ფორუმში.

1989 წლის აპრილში თბილისში მოხ-



იხ. 5 გვ.



7  
ექვთიმე  
თაყაიშვილის  
მრავალტომეული




3  
ვულოსავთ!  
ზურაბ წერეთელი  
გუგინ  
85 წლისა გახდა

6  
არტისტული  
მწერლის  
დრამატული  
თავბადასავალი

4  
ბიზნესი  
მთავრობას  
უტევეს!

8  
10 კონფლიქტი,  
როგორც  
2019 წელსაც  
დაზაფრავს  
მსოფლიოს



4  
რით აპირებთ მზიური აჭარა  
რუსეთიდან ჩასულ სტუმრებს?











# მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“...

## დიდი მამულიშვილის მრავალტომეული

2002 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის თაოსნობით საქართველოს მართლმადიდებელი, სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა და უწოდა მას ექვთიმე ღვთისკაცი.

ლეგენდაააა ქვეული დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის ღვაწლი, უმძიმესი შრომა, რომელსაც შესწირა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულში და-

ფერფლილი დიდი სიცოცხლე. საყოველთაოდაა აღიარებული ექვთიმე თაყაიშვილის მონაშემორივი ცხოვრების ამბავი.

მეტად საშვილიშვილო საქმე გააკეთა გამომცემლობა „არტანუჯმა“ ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და ღვაწლისადმი მიძღვნილი ერთობ საინტერესო წიგნის – „დიდი ექვთიმე“ – გამოცემით, რომელშიც სხვადასხვა მეცნიერ-ავტორის სტატიების სახითაა წარმოდგენილი დიდი მეცნიერის სახე. აქვეა აქამდე სრულიად უცნობი საარქივო მასალები.

ორიოდე წლის წინათ გამოცემლობამ გადაწყვიტა, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მთელი შემოქმედება საზოგადოებას გააცნოს და თორმეტტომეულის სახით წარუდგინოს. ორ წლის განმავლობაში მრავალტომეულის მთავარი რედაქტორის, ბატონი **როინ მეტრეველისა** და სარედაქციო კოლეგიის წევრების **ნათელა ვაჩნაძის, არჩილ კობრიძის, ბუბა კუდავასა** და **გოჩა საითიძის** თაოსნობითა და თავდაუდღელი შრომის შედეგად ისტორიკოსებმა და ისტორიით დაინტერესებულმა საზოგადოებამ უკვე მიიღო მრავალტომეულის ექვსი ტომი.

პირველი ტომი, რომლის რედაქტორიც გახლავთ ისტორიკოსი და მკვლევარი ბუბა კუდავა, მოიცავს ექვთიმე თაყაიშვილის სამხრეთ საქართველოში (არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგლში 1907 წელს და 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში) მოგზაურობას. მეორე ტომი (რედ. ბუბა კუდავა) ეძღვნება მოგზაურობებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, იმერეთში, ქართლში, გურიასა და კახეთში. აქვეა წარმოდგენილი ექვთიმე თაყაიშვილის 1902 წელს გამოცემული ნაშრომი „Христианские памятники, Тифлисской губернии и Карсская область“.

მესამე ტომი (რედ. ბუბა კუდავა) მთლიანად ეთმობა დიდი მეცნიერის 1910 წლის ექსპედიციას ლეჩხუმსა და სვანეთში, ხოლო მეოთხე ტომი არქეოლოგიურ მოგზაურობას სამეგრელოში (1914 წ.). მეხუთე ტომში შესულია ნაკვეთები, რომლებიც 1904-1915 წლებში იბეჭდებოდა რუსულენოვან სამეცნიერო კრებულებ-

ში. სიძველემცოდნეობითი მასალები ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა და საქართველოს არაერთ ისტორიულ რეგიონს მოიცავს: სამცხე, თრიალეთი, ქვემო ქართლი, გურია, კახეთი, იმერეთი და სხვა.

სულ რამდენიმე დღის წინათ, წინასაახალწლოდ მკითხველმა მიიღო მრავალტომეულის მეექვსე ტომი, რომლის რედაქტორიც გახლავთ როინ მეტრეველი. ტომში შესულია ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეული ვარიანტი.

ექვთიმე თაყაიშვილს დიდი ამაგი მიუძღვის „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების შესწავლაში და გამოცემაში. მანამდე საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი პირველწყარო ზოგადად საზოგადოებისა და, კერძოდ, ქართული ისტორიოგრაფიისთვის ცნობილი იყო მხოლოდ აკადემიკოს მარი ბროსეს 1849-1857 წლების გამოცემებიდან. ფრანგმა მეცნიერმა ის დავით ჩუბინიშვილთან ერთად გამოცა. მარი ბროსეს განკარგულებაში მეთვრამეტე საუკუნის სამი ხელნაწერი იყო, რომელიც ე. წ. სწავლულ კაცთა კომისიის მიერ გახლდათ გადაამუშავებული და შეესებოდა. შემდგომ პერიოდში გამოჩნდა მეთხუთმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნის ოთხი ხელნაწერი.

1884 წელს დიმიტრი ბაქრაძემ აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ახალი, მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერი, რომელიც განსხვავდებოდა თავისი შედგენილობით წინა ნუსხებისგან. ეს იყო „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ნუსხის პირი. მარიამი გახლდათ ქართლის მეფის როსტომის მეუღლე. მეცნიერებმა მიიჩნიეს, რომ ხელნაწერის დედანი 1633-1646 წლებში უნდა ყოფილიყო გადაწერილი, ხოლო პირი მეთვრამეტე საუკუნის 30-იანი წლებშია გახლდათ.







სწორედ მარიამისეული ნუსხა შეისწავლა ექვთიმე თაყაიშვილმა და სათანადო სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი გამოსცა 1906 წელს. მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ უძვირფასესია და მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ შეიცავს ისეთ მასალებს, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ არცერთ მანამდე ცნობილ ხელნაწერში არ მოიპოვებოდა. ასეთია, მაგალითად, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა.

სიახლეს წარმოადგენს მეფე თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. მართალია, ეს თხზულება მარი ბროსემაც გამოსცა, მაგრამ აქ თამარის ისტორია განსხვავებულიაა წარმოდგენილი.

ექვთიმე თაყაიშვილისეული 1906 წლის გამოცემა ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი და ხელმისაწვდომი. წიგნი დიდი მეცნიერისა და მკვლევარის მიერ გუდამოღვინდა კომენტარებული და ძვირფას ისტორიულ მასალას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ექვთიმე თაყაიშვილი საბოლოოდ დამთავრებულად არ მიიჩნევდა ერთხელ ნაკვლევ გამოცემულ მასალას. იგი ამათუ იმ საკითხის კვლევას შემდგომაც აგრძელებდა. როგორც ბატონი როინ მეტრეველი აღნიშნავს, წიგნის გამოცემიდან თითქმის ასი წლის შემდეგ მათ „ხელში ჩაუვარდათ“ ერთი ეგზემპლარი, რომელშიც, როგორც ჩანს, წლების განმავლობაში მეცნიერის მიერ მიმდინარეობდა ჩასწორებები, დამატებები, კორექტურული დაზუსტებები. წიგნი ათასამდე გვერდს ითვლის და თითქმის ყველა გვერდი კომენტარებითაა დაფარული, სხვადასხვა დროს ფაქტობრივ მინერული ჩასწორებები, გარკვეულ ტერმინთა შესწორებები.

ახალ გამოცემას ყველა ეს ჩასწორება-კომენტარი დამატებების სახით აქვს წარმოდგენილი. ექვთიმე თაყაიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის სარედაქციო კოლეგიამ საჭიროდ მიიჩნია, რომ ამ ტომში დაეუბნებინათ ექვთიმე თაყაიშვილისეული გამოცემა და ფართო საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ დიდი მეცნიერის მოღვაწეობის ეს მხარეც, საგამომცემლო საქმიანობა კვლევასთან ერთად.

როგორც მრავალტომეულის სხვა ტომები, მეექვსე ტომიც მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი და თითქმის ათასამდე გვერდს მოიცავს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოცემის ყველა ტომი უხვადაა ილუსტრირებული ფოტომასალითა და ექსპედიციებში მონაწილე ცნობილ მსახურთა ესკიზებით. აღსანიშნავია ისიც და გვსურს, მკითხველმა იცოდეს, რომ გამოცემის



პირველი, მეორე და მეხუთე ტომები გამომცემლობა „არტანუჯმა“ დაბეჭდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მესამე და მეოთხე ტომები – საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის, ხოლო მეექვსე ტომი კი „თიბისი ბანკის“ პრეზიდენტის მამუკა ხაზარაძის მხარდაჭერით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოცემლობა „არტანუჯი“ და მისი მხარდამჭერები დიდი მეცნიერის შემოქმედებასა და ღვაწლის წარმოსაჩენად, მართლაც დიდ საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ.

გაგუა ვაზაიძე

# რომანტიკული პნეკიით დაუხვბული დედაინა

5 იანვარს მზის დაბნელება და ასტროლოგები ამბობენ, რომ ამ დროს დედაინა რომანტიკული ენერგიით დაიმუხტება. ადამიანების ცხოვრებაში ეს დღე ბედნიერებასა და ჰარმონიას შეიტანს.


ასტროლოგების განმარტებით, მზის დაბნელების ენერგეტიკა უფრო მეტად შემოქმედებით ადამიანებად გვაქცევს, ვიქნებით უფრო მახვილგონივრულები და უფრო მარტივად შევძლებთ პრობლემების მოგვარებას. იგრძნობთ, რომ ყველა საქმეს კრეატიულად უყურებთ და ეცდებით, რომ ცხოვრებაში უფრო მეტი რომანტიკა შეიტანოთ. მოგინდებთ საყვარელი ადამიანისთვის დაუვიწყარი სიურპრიზის მოწყობა, იგრძნობთ, რომ სიყვარული თქვენს ცხოვრებაში მთავარი მამოძრავებელია.

გარშემომყოფების მიმართ იქნებით უფრო მეტად

კეთილები, თბილები და მოსიყვარულეები და ადამიანებისგანაც სანაცვლოდ მხოლოდ სიტბოსა და სიყვარულს მიიღებთ.

საკუთარი თავის მიმართ შედარებით კრიტიკულები იქნებით, რაც ცუდი არ არის, პირიქით, ამის ნყალობით შეძლებთ, რომ ყველა საქმეში საუკეთესო იყოთ და პოზიტიურ შედეგს მიაღწიოთ.

საუკეთესო დროა ცხოვრების რადიკალურად შესაცვლელად. ამ პერიოდში დაწყებული ცვლილებები აუცილებლად მოგიტანთ წარმატებას. ამიტომაც გააკეთეთ ის, რისი გაკეთებაც დიდი ხანია გინდათ, გადადგით სარისკო ნაბიჯები. დიდია შანსი იმისა, რომ იპოვოთ ბედნიერება, რომელსაც დიდი ხანია ეძებთ. ადამიანების უმეტესობის ცხოვრებაში ეს იქნება ახალი წლის შესანიშნავი დასაწყისი.









# ლეგიონერები

„ბასკონია“ს ქართველი კაპიტანი თორნიკე შენგელია მოედანზე გასვლას მინიმუმ 3 თვის განმავლობაში ვერ შეძლებს. ეს სამწუხარო ამბავი გუშინ გახმაურდა.

„უკეთეს შემთხვევაში, სამ თვეში“, – ასე უპასუხა ბასკთა მთავარმა მწვრთნელმა ველიმირ პერასოვიჩმა კითხვას, თუ როდის შეძლებს შენგელია მოედანზე გასვლას. ესპანური გუნდის დამრიგებელს თორნიკის შესახებ სტამბოლში დაეკითხნენ, სადაც „ბასკონია“ ევროლიგის ლიდერ „ფენერბაჰჩესთან“ სათამაშოდ არის ჩასული და მისი პასუხი მოულოდნელი იყო.

პირველი ვერსიით, ქართველ კალათბურთელს მხოლოდ 3-4 კვირა იძულებით უქმობა ელოდა, მაგრამ, როგორც სჩანს, სიტუაცია დამძიმდა.

შეგახსენებთ, რომ შენგელია ესპანეთის ლიგა ენდესაში მადრიდის „რეალთან“ მატჩში დაშავდა და ახალი ვითარების თანახმად, ფაქტობრივად, ევროლიგის მთელ რეგულარულ სეზონს გამოტოვებს. გარდა ამისა, ჩვენებურს ვერც ესპანეთის თასზე ვიხილავთ, რომელიც თებერვალშია დაგეგმილი.

ევროლიგის მიმდინარე სეზონში თორნიკეს საშუალო მონაგარი 12.7 ქულა, 4.5 მოხსნა და 2.0 პასი გახლდათ.

ევროლიგის მე-16 ტურში დიდებული მატჩი ჩაატარა გოგა ბითაძემ, რომლის „ბუდუჩნოსტი“ იტალიაში, „ოლიმპია მილანოსთან“ უშანსოდ დამარცხდა – 94:111.

მონტენეგროელები პირველივე პერიოდში ჩამორჩნენ და მთელი თამაში ასეთი სცენარით განვითარდა. შედეგად, ფავორიტად შერაცხულმა აპენინელებმა საკმაოდ ადვილად შეძლეს გამარჯვების მოპოვება.



შე კი ნამდვილად იყო – ქულებითაც ყველაზე აჯობა და მარგი ქმედების კოეფიციენტის მატჩებშიც. ბითაძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა, პარკეტზე 26 წუთი გაატარა. ხსენებულ დროში 19 წლის ქართველმა ცენტრმა 23 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი და 3 დაფარება მიითვალა.

გოგამ 12-დან 8 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, სამჯერ ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა, 4-ჯერ დაჯარიმდა, 8-ჯერ მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ, ხოლო 2-ჯერ დაუფარეს. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 31-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგა. აქვე ვთქვათ, რომ იგი 23 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეც გახდა, მოხსნების რაოდენობით კი მხოლოდ მას-პინძელთა ნეკრ არტურას გუდაიტის ჩამორჩა (12). 3 დაფარებაც გოგას გარდა სწორედ ლიტველ კალათბურთელს მოუგროვდა.

„ბუდუჩნოსტი“ ევროლიგაში ძალზე წარუმატებლად თამაშობს – 16 მატჩში 3 მოგების ნიღ 13 წაგება აქვს და ბოლოსწინა – მე-15 ადგილზეა. მომდევნო შესვენდა ევროლიგის ეგიდით მონტენეგროელები 9 იანვარს თელ-ავივში „მაკაბისთან“ ჩაატარებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

## © ჩოგბურთი

# პრისხანა გატოქანს აღიარებს

ATP-ის რეიტინგის ლიდერმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ნიკოლოზ პასილაშვილთან მიმდინარე ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მეტოქის შესახებ ისაუბრა. სერბმა ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ ქართველის კარგი თამაში მისთვის სიურპრიზი არ ყოფილა.

გარდა ამისა, მრავლისმნახველმა ბალკანელმა აღნიშნა, რომ ბასილაშვილს ჩოგბურთში ერთ-ერთი გამორჩეული დარტყმა აქვს:

„ვფიქრობ, იგი დასაწყისიდანვე შენაწინააღმდეგე თამაშობდა და ამას ველოდი კიდევ. ვიცოდი, რომ ბოლო 10 თვის განმავლობაში ცხოვრებაში საუკეთესო თამაშს აჩვენებდა. ნამდვილად ერთ-ერთი საუკეთესო დარტყმა აქვს ჩოგბურთში.“



მომავალში მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ“, – განაცხადა ჯოკოვიჩმა.

შეგახსენებთ, რომ ყატარის დედაქალაქ დოჰაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში ბასილაშვილი ჯოკოვიჩთან 2-საათიან თანაბარ ბრძოლაში დამარცხდა – 6:4, 3:6, 4:6. ნიკოლოზმა რეიტინგის ლიდერს ტოლი არაფერში დაუდო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა დაუდევარი შეცდომები, გამარჯვებაც რეალური იყო.

კობა კოვახიძე


# საფეხბურთო მოზაიკა

პრემიერლიგის 21-ე ტურის მატჩში „სიტიმ“ შინ „ლივერპულს“ 2:1 დამარცხა, მანჩესტერელთა მთავარმა მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ კი თავის მესამე კლუბთან ერთად საიუბილეო – მეასე შესვენდაში გაიმარჯვა.

გვარდიოლამ „სიტისთან“ ერთად სულ 144 მატჩი ჩაატარა, საიდანაც 100 მოიგო, 23 ფრედ დაასრულა და 21 წააგო.

ესპანელმა მწვრთნელმა „ბაიერნთან“ ერთად 121 ბრძოლაში ივაჟკაცა, ხოლო „ბარსელონაში“ მუშაობის დროს – 179-ში.

მადრიდის „რეალმა“ ვერ შეძლო 2019 წლის მოგებით დაწყება. მე-17 ტურის გადატანილ მატჩში „ვილიარეალთან“ „სამეფო კლუბი“ მხოლოდ ფრეს დასჯერდა



– 2:2. სხვათა შორის, ეს პირველი ყაიმი გახლდათ სანტიაგო სოლარისთვის „რეალის“ მწვრთნელობის განმავლობაში.



„რეალის“ მაისურით 589, ესპანეთის ეროვნული გუნდის სახელით 161 და „სევილიის“ ფორმით 50 მატჩი ჩაატარა.

„შალკეს“ ან უკვე ყოფილი მცველი ნალდო კარიერას „მონაკოში“ გააგრძელებს. როგორც ფრანგული კლუბის ვებ-გვერდი იუწყება, ფეხბურთელი ახალ გუნდს 2020 წლის ივლისამდე დაეხმარება, ხოლო მის სანაცვლოდ გერმანელებმა ორი მილიონი ევრო მიიღეს.



ნალდოს ევროპული კარიერა 2005 წელს ბრაზილიური „უჟუვენტუდიდან“ „ვერდერში“ ტრანსფერით დაიწყო. შვიდი წლის შემდეგ იგი „ვოლფსბურგში“ გადავიდა, „შალკეში“ კი 2016 წლიდან თამაშობს.

მიმდინარე სეზონში ნალდომ 13 მატჩი ჩაატარა. „მონაკო“ ლიგა 1-ში წარუმატებლად თამაშობს – ტიერი ანრის გუნდი სატურნირო ცხრილში 13 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

გიორგი შოთაძე

## © დოკუმენტი

# CAS-მა ახალი განყოფილება შექმნა

სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო (CAS) ანტიდოპინგო განყოფილების შექმნის შესახებ იტყობინება. მისი უშუალო მოვალეობა ანტისადოპინგო საკითხებთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარება იქნება. ეს განყოფილება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან (IOC) და სპორტის საარბიტრაჟო საერთაშორისო საბჭოსთან (ICAS) ერთად სანქციების დაწესებაზე აიღებს პასუხისმგებლობას.

აღსანიშნავია, რომ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს დროებითი ანტიდოპინგო განყოფილებები რიოსა (2016) და პიონჩანგის (2018) ოლიმპიურ თამაშების დროს მუშაობდა.

ICAS-მა მომავალი 4 წლის ვადით შექმნილი გან-



ყოფილების წევრები დაასახელა. მათ შორის 2 ახალი მოსამართლე – შააგის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე, იამაიკელი პატრიკ რობინსონი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, ავსტრიელი ელიზაბეთ შტეინერი.

განყოფილების წევრთა შორის არიან ტრიატლონის საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივანი, ესპანელი ანტონიო არიმანი, ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი, შვეიცარიელი მიქელ რენჩი და მეფე ხუან კარლოსის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ესპანელი პროფესორი ენრიკე არნალდო ალკუბილა.

განყოფილების ხელმძღვანელთა არჩევნები წელს მისიში ჩატარდება.

გაჟან დოლიძე

# ახალი წლის ტკივილი

რამდენი წლის უნდა ყოვილიყო ელგუჯა ბერძენიშვილი, რომ მის სიკვდილს შეეგუებოდით!

უსაყვარლესი ადამიანი მე კაი ხანია, ვცხოვრობ ამ ქვეყნად, ბევრ კარგ შემომქმედს ვიცნობდი და ვიცნობ, მაგრამ ელგუჯა ამაშუკელი, როგორც რეზო ინანიშვილი იტყოდა, მანაც სხვა იყო.

ელგუჯა არ ხმაურობდა, ცხოვრობდა განმარტოებით, კულტურითა და შემოქმედებით განასახიერებდა ეპიკურ სიბრძნეს – იცხოვრე შეუმწევნვლად!

ელგუჯას ფერწერული ტილოები სიცოცხლის ჰიმნია და გინდა, ამ გარემოში დიდხანს დარჩე.

პროზა?! იმის პირობა რომ შექმნილიყო და ელგუჯას საკუთარი მოთხრობები წაეკითხა ამერიკელი მწერლის უილიამ ფოლკნერისათვის, გერმანელი თომას მანისათვის, ნორვეგიელი კნუტ ჰამსუნისთვის, იტალიელი ლუიჯი პირანდელოსათვის და ასე შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ისინი ნასიამოვნები დარჩებოდნენ.

ელგუჯას პესიმისტური ნაწერებიც კი ძალას გვმატებს და



კეთილი საქმეებისათვის განგვანცობს. ელგუჯას სიცოცხლეს თან ახლდა უკვდავი გურული სიმღერები და მის სსოვნასაც საბოლოოდ, ბოლომდე გაჰყვება ამ სიმღერების მთროლოგარე ჰანგები.

**რაზო კვიციანი,**  
მარკვილი  
2 იანვარი, 2019 წელი

## H1N1 პირუსით კიდევ რაი აღაშინა ბარდნიშვილი

ამ დროისთვის, ენ. ლორის გრიპით 8 ადამიანი გარდაცვლილი, მათგან 4 აჭარაში. დაავადებათა ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, გარდაცვლილ რვავე პაციენტს ქრონიკული დაავადებები ჰქონდა, რამაც ვირუსის გამწვავება გამოიწვია. გარდა ამისა, მათ სამედიცინო დაწესებულებებს დაგვიანებით მიმართეს.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ამირან გამყრელიძის განცხადებით, ჯერჯერობით ქვეყანაში ეპიდემიის საფრთხე არ არსებობს. მისი თქმით, დღეს არსებული მონაცემებით, ვირუსი 100 ათას ადამიანზე მხოლოდ 277 ადამიანს დაუდასტურდა,

ეპიდემიის საფრთხე კი დგება მაშინ, როდესაც ინფიცირებულთა რაოდენობა 500-მდე გაიზრდება.

## რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში საპარტიო კარანტინი გამოცხადდა

რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გრიპის ვირუსის შემთხვევების რაოდენობის ზრდის გამო, კარანტინი გამოცხადდა, – ამის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი ავრცელებს. ქალაქის ბავშვთა საავადმყოფოს ინფორმაციით, 25 დეკემბრიდან პაციენტთა მიმართვიანობა სულ მცირე სამჯერ არის გაზრდილი.

მათივე ცნობით, დღის განმავლობაში ამბულატორიულ დახმარებას 30-ზე მეტ მოზარდს უწევს. მათივე ინფორმაციით, გასულ წლებში ეს რიცხვი 10-ს არ აღემატებოდა.

ექიმების განცხადებით, პაციენტები ძირითადად მალალი ტემპერატურით, საერთო სისუსტითა და პირღებინებით აკითხავენ, თუმცა არც ერთი მათგანის მდგომარეობა არ გართულებულა.



## ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის ირანის მოქალაქე, 1997 წელს დაბადებული მ.კ. სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. პოლიციამ დაკავებულისგან ნივთმტკიცებად 13 შეკვრად დაფასოებული, 600 გრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღო, რაზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისთვის დაკავებულია თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული ა.ა. იგი აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა ბათუმის პარკში შეაჩერეს. პოლიციამ მისი პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 480 აბი „ექსტაზი“ ამოიღო. სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულისთვის კიდევ ერთი პირი – 1975 წელს დაბადებული მ.რ. დააკავეს. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა

მა თბილისში, დაკავებულის მიერ მითითებული სამალავიდან, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი – „ბუპრენორფინის“ შემცველი 130 აბი „სუბოტექსი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

## ყალბი ფულის შენახვა-გასაღების ფაქტზე რაი მოქალაქე დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ყალბი ფულის შენახვა-გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე დააკავეს.

დადგინდა, რომ 2018 წლის დეკემბერში, დანაშაულში მხილებულმა პირებმა ქალაქ ბათუმში მდებარე საავალტუო ჯიხურებში 7 000 ევროს ოდენობის ყალბი 500-ევროიანი კუპიურები გაასაღეს. ბრალდებულების დაკავებისას, დამატებით ამოღებულია 6 000 ევროს ოდენობის ყალბი ფული.

## ბურჯ-ხალიფა 9 წლისაა

2010 წლის 4 იანვარს დუბაიში ოფიციალურად გაიხსნა მსოფლიოს უმაღლესი ნაგებობა ბურჯ-ხალიფა. ბურჯ-ხალიფა, ანუ ბურჯ-დუბაი სუპერმალაქი ცათამბვჯენია დუბაიში. ის აღიარებულია როგორც ადამიანის შექმნილი ყველაზე მაღალი სტრუქტურული ნაგებობა. ცათამბვჯენის შენება დაიწყო 2004 წლის 21 სექტემბერს და დასრულდა 2010 წლის 4 იანვარს. შენობის მთავარი არქიტექტორი, სტრუქტურული და მექანიკური ინჟინერია ჩიკაგოს კომპანია Skidmore, Owings and Merrill LLP (SOM). გეორგ ევსტათიუ კომპანიიდან SOM არის პროექტის მმართველი პარტნიორი, ხოლო ადრიან სმითი (SOM-დან წამოსული) დიზაინის პარტნიორი.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის მეუღლე

## ღონარა სალაძე-ჩაგელიშვილისა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ღალი ჩხეიძე, გივი ჯაფარიძე თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს მეგობარს, აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილს მეუღლის, უკეთილშობილესი ქალბატონის

## ღონარა სალაძე-ჩაგელიშვილის

გარდაცვალების გამო.

ღია, თათია სალაძეები, სალომე, საბა დუნდუები დიდი მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი და უძვირფასესი

## ღონარა სალაძე-ჩაგელიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პოლიტიკური მოძრაობა „მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“ და საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება-მრენველობა“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პარტიის ტყიბულის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრენველების“ თავმჯდომარე, ბატონი

## ბონდო კუბლაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გოჩა ამყოლაძე ოჯახით მწუხარებას გამოხატავს მძახლის, ძირძველი თბილისელის, სახელმწიფო მოღვაწის

## არმაზ პაიჭაიის

გარდაცვალების გამო.

## მოგონება

### ბონდო სულაქველიძე

2019 წლის მარტმადიდებლური შობის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა დღეს, 6 იანვარს 40 დღე სრულდება, რაც ჩვენს შორის ფიზიკურად აღარ იმყოფება ალალ-მართალი და კოლორიტული პიროვნება, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერ-ეკონომისტი და პედაგოგი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ღირსეული მამულიშვილი ბონდო სულაქველიძე.



ძნელია ბონდო სულაქველიძეზე წარსულში საუბარი. განსაკუთრებით ძნელია ის მისი ოჯახისთვის, მეუღლისთვის, შვილებისა და შვილიშვილებისთვის, რომელთა ბედნიერების გამოც იგი მზად იყო, ყველაფერი დაეთმო და თავიც გაეწირა.

ბონდო სულაქველიძე ადრე დაობდა, რის გამოც იგი მოზარდობის პერიოდში დაწვე ჩაერთო შრომით საქმიანობაში, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია. არ აცივებდა მამაპაპისეულ კერას ხარაგაულის რაიონის სოფელ ლორეშაშიც, სადაც იგი, მისთვის ჩვეული ენერგიით უძღვებოდა მეურნეობას, შრომობდა რა ფიზიკურად, რაც მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. დღეს კი ჩვენ, ბონდოს მეგობრებსა და კოლეგებს, ისა და გვრჩენია, მისი ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან თუ ყველა ახლობელთან ერთად, ვილოცოთ, რათა მისი სპეციალური გარდაცვალებიდან მე-40 დღეს სასუფეველში დამკვიდრებულიყოს.

მეგობრები

# ს.ს.ი.პ - წილის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიის განცხადების მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წილის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge)) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წილის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის <p>ა) სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტო უნდა განხორციელებდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცავს „ელექტრონული ქსელის ხაზობრივი დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს 2008 წლის 18 ნოემბრის №100 ბრძანებით (მუხლები 80 და 83) დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადასურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს საავტომობილო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენ-რეაბილიტაცია.</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.</p> <p>ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელს წილის ეროვნული სააგენტოს პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წილის ეროვნული სააგენტოს განხორციელებისას გეოინჟინერი სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები.</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წილის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წილის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წილით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წილის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი ქალაქ ზესტაფონში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ტექნოლოგიური დანარჩენი (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წილის ეროვნული სააგენტოს - 5 247 ტონა).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა ქალაქ ზესტაფონში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი 52 470 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 5 247 ლარი
